

ოვანეს თუმანიანის ქ. №12 და №12ა

საკვლევი შენობები მდებარეობს ისტორიულ ქვემო კალაში - იერუსალიმის მოედანის მიმდებარედ, ოვანეს თუმანიანის ქუჩითა და იერუსალიმის შესახვევით მოსაზღვრულ ტერიტორიაზე.



თუმანიანის ქ. №12

ეს უბანი თბილისის უძველესი ნაწილია, რომელიც ადრეული შუა საუკუნეებიდან იყო გაშენებული. აქ ძირითადად საცხოვრებელი სახლები და საკულტო შენობები მდებარეობდა. ალა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევის დროს საცხოვრებელი სახლები მთლიანად განადგურდა და უბანი ხელახლა გაშენდა XIX საუკუნეში, საქართველოს რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ. თუმცა ქუჩების შუასაუკუნეობრივი ქსელი თითქმის

ხელუხლებლად შენარჩუნდა. ამჟამად ქვემო კალაში არსებული შენობების უმეტესობა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება.

საკვლევ შენობებს, რომლებიც ორი უძველესი ქუჩის სტრუქტურის ნაწილს წარმოადგენს და იერუსალიმის მოედნის სივრცით სტრუქტურაშიც არის ჩართული, არსებული განაშენიანების კონტექსტში მნიშვნელოვანი ურბანული ღირებულება აქვთ.

ამ მიკრო უბანმა ბოლო დრომდე შეინარჩუნა ავთენტურობა. მას საბჭოთა პერიოდის მასშტაბური მშენებლობებიც არ შეხებია, თუმცა თუმანიანის ქუჩაზე – საპროექტო შენობების მოპირდაპირედ ამჟამად შენდება შენობები, რომლებიც ისტორიულ უბნებში მიღებული სამშენებლო ნორმების დარღვევით მიმდინარეობს და დისონანსი შეაქვს ძველ განაშენიანებაში.

1990-იანი წლებიდან აღინიშნება ისტორიული შენობათა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. ეს პროცესი გამოიწვია წლების მანძილზე შენობებისა და კომუნიკაციების შეუკეთებლობამ და მოუვლელობამ. შენობების ამორტიზაციის პროცესი განსაკუთრებით დააჩქარა 2002 წლის მიწისძვრამ, რომლის შემდეგაც ათეულობით სახლმა მძიმე დაზიანებები მიიღო. დროთა განმავლობაში რამდენიმე მათგანი ჩამოინგრა – მათ შორის თუმანიანის ქ. №12 და №12ა სახლებიც.

ხელოვნებათმცოდნე

მარინა ხატიაშვილი

